

საქართველოს კანონი
„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის
შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №41, 8.10.1997,
გვ. 16) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამხედრო შეკრებების გავლის დროს მოქალაქე თავისუფლდება
სამსახურიდან (სასწავლებლიდან) სამუშაოს (სწავლების) ადგილის
შენარჩუნებით.“

2. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს:

3. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქალის პირველად სამხედრო აღრიცხვას ახორციელებენ ადგილობრივი
თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურები მას შემდეგ, რაც ის
სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობას შეიძენს.“

4. 38-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ბ.ბ.ბ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ.ბ) უმცროსი ოფიცრის შესაბამისი კურსი, რომლის გავლის
საკითხები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;“

ბ) მე-7 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით:

„ბ) პოლკოვნიკის (I რანგის კაპიტნის) წოდებას, ამ მუხლის მე-2
პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ლეიტენანტის
წოდებას და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში
სამხედრო წოდებას (გარდა პოლკოვნიკისა) – საქართველოს თავდაცვის
მინისტრი;

გ) უმცროსი და უფროსი ოფიცრების (გარდა ამ პუნქტის „ბ“ და „ზ“
ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) წოდებებს – საქართველოს
შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი;“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი